პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (20099) ხუთშაბათი, 10 მარტი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ლირსეული ჯილდო

სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის „საქაბელის“ ქარხნის წარმატებებში გარკვეული წვლილი შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი დიმიტრი ლილუაშვილი ხელმძღვანელობს.

ახალი წარმატებებით დაიწყეს ბრიგადის წევრებმა. მიმდინარე წელი. მათ უკვე კარგახანია გაანადგეს ორი თვის დაკალება და ახლა უკვე მესამე თვის მეორე ნახევრის ანგარიშში შრომობენ.

მათ საკმისაბამო დიდი სტიმული მისცა ცნობამ, რომელიც სულ ახლახან მიიღეს მოსკოვიდან. მასში ნათქვამია, რომ კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის, საკავშირო აღკაკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსთან შეთანხმებით სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, „საქაბელის“ ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას მიენიჭა ფულადი პრემია და „ლენინელოდგა ვიმბელით — „სტახანოვური ტრადიციის მემკვიდრეებს“.

▼ ▼

ვიზანი — დისციპლინის განმტკიცება

ბორის ბაბეჯულის საწარმოო საფეიერო-სამკერვალო გაერთიანების კოლექტივმა შეგვიდრა მოუწყო რესპუბლიკის პროკურორს ვ. რაზმაძეს, რომელიც ფეიერებს „საუბრა გარდაქმნის დღევანდელ ეტაპზე სამართლდამცავი ორგანოების საქმიანობაზე, შრომითს კოლექტივებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობაზე.

რესპუბლიკის პროკურორთან მოეცხენენ ქალაქის და რაიონის მშრომელებმა პირად საკითხებთან ერთად მრავალი საინტერესო წინადადება და მოსაზრება დააყენეს, რომელთა მიზანია კოლექტივებში შრომითი აქტიურობის ამაღლება, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს დამკვიდრება.

▼ ▼

პირუტყვს ქარგად აზამთრებენ

ლაგოდეხის რაიონის აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეცხოველეებმა ვადაზე ადრე გაანადგეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის კვარტალური გეგმა. ლაგოდეხის ყველ-ქარაქის ქარხანაში გეგმით გათვალისწინებული 350 ცენტნერის ნაცვლად გაგზავნილია 452 ცენტნერი რძე, რაც 277 ცენტნერით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. აფენელები უამინდობის მიუხედავად ამ ტემპს არ ანელებენ და ყოველდღიურად 800 კილოგრამამდე რძეს აბარებენ.

წარმატებას ხელს უწყობს მტკაცე საკვები ბაზა და თბილი ბინები. ფერების მაღალპროდუქტიულობას სათანადო კვებასთან და მოვლასთან ერთად განაპირობებს მეცხოველეთა მუშაობაში ახალი ფორმების დამკვიდრება. აღსანიშნავია მწყემსთა ხუთკაციანი ახალგაზრდული რგოლის საქმის ერთგული. კომკავშირელები ზაალ ცუცქირიძე კოზა და კახა კასანაძეები, რაინდ ტეფნაძე და გიორგი მაზმანიკი ინარული მეთოდით მუშაობენ და ანაზღაურებას საქონლის პროდუქტიულობისა და საბოლოო წონამატების მიხედვით იღებენ, ეს კი მათ მუშაობას კარგ სტიმულს აძლევს.

▼ ▼

საუბარი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. გ. ჯაფარიძემ მიიღო რესპუბლიკაში მყოფი ნიდერლანდის სამეფოს ელჩი სსრ კავშირში პეტრუს ბუვალდა. მას გააცნეს რესპუბლიკის ცხოვრება, მისი მიღწევები და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, გარდაქმნის მიმდინარეობა, რომელიც შეეხო საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროს. სტუმარს ეთხრა აგრეთვე, თუ რა როლს ასრულებენ დეპუტატები საზოგადოების რეკონსტრუქციის განხილვაში.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ფ. ჯავახიშვილი.

ელჩმა რა რესპუბლიკის ცხოვრებას, პ. ბუვალდა ეწვია საწარმოო გაერთიანება „თბილსრეტს“, დაათვალიერა თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი.

▼ ▼

ჟურნალდების ცენტრშია მართვის პროგლემა

ბაკურიანში მუშაობა დაამთავრა საკავშირო სამეცნიერო-თეორიულმა სიმპოზიუმმა თემაზე: „მმართველობითი სიახლეების ფორმირება და რეალიზაცია სამეურნეო სისტემებში: საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზი“. სიმპოზიუმმა, რომელშიც მონაწილეობდნენ კავშირის სხვადასხვა რეგიონის მეცნიერები, განიხილა ბოლო წლებში შეერთებული შტატების ეკონომიკაში, ქირძოდ, მისი დარგების მართვის სისტემის სრულყოფაში დასახული ტენდენციებთან დაკავშირებული მთელი რიგი მოხსენებები.

— ასეთი სიმპოზიუმები, — თქვა კორესპონდენტთან საუბრისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის მართვის პრობლემათა განყოფილების გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ლ. ევენკომ, — ბოლო დროს ჩვენში რეგულარულად ეწყობა. გარდაქმნის პირობებში რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება სამეურნეო საქმიანობის საზღვარგარეთული გამოცდილებისადმი. წინათ ითვლებოდა, რომ ასეთი გამოცდილების გამოყენება ჩვენს პირობებში არანაირ ასპექტით არ შეიძლება. ახლა კი სხვანაირად ვუყურებთ ამ საკმეს. ინსტიტუტი ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, დაგეგმვის მეთოდებთან, კადრების სტიმულირებასთან დაკავშირებული ყოველი მმართველობითი სიახლის გამოყენება ჩვენთანაც შეიძლება, რა თქმა უნდა, შესაბამისი გადამუშავების შემდეგ. ახლა მართვის მეცნიერება და პრაქტიკა ფაქტობრივად ინტერნაციონალური ხდება.

▼ ▼

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა სსრ კავშირის სახალხო განათლების საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი და გაათქვა სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

▼ ▼

გაიმართება მორიგი სხდომა

მინსკი. მორიგების შესაბამისად 1988 წლის მარტს დამლევს სოფიაში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

▼ ▼

სსრ კავშირს ეწვევა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკის პრეზიდენტი ხულიო მარია სანგინეტი ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა საბჭოთა კავშირს ამა წლის 19-23 მარტს.

მახალები რუბრიკასთვის მოამზადა რ. ბუხიკაშვილმა.

წარდგენილია ლენინურ პრემიაზე

სიცოცხლის საგალობელი

ეს ნაწარმოები იმდენად მკვეთრად გამოირჩევა მუსიკალურ-თეატალური სტერეოტიპებისაგან, რომ ყოველი წარმოდგენა (მე კი იგი რამდენჯერმე ვნახე თბილისის სცენაზეც და მოსკოვში გასტროლების დროსაც) თავდაპირველად იუდგტორიაში ლამის გაწეხეულებას იწვევს. „ეს ოპერა არ არის! აქ არ მღერიან!“ — ამტკიცებენ ერთნი. „ეს პაროდიაა! — ასკვნიან სხვანი. „დრამატული წარმოდგენა მუსიკის თანხლებით“, „ორატორია“, „მისტერია“ — რას არ გიგალობენი ფოიეში თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლის „...და არს მუსიკა“ გამო.

მაგრამ აი, წარმოდგენა დამთავრდა და ვნებები დაცხრა. გავიფიქროთ ამწუთიერი დეტალები და ყველაფერი მთლიანობაში წარმოვიდგინოთ.

არა, არ გეგონოთ, იმას ვამტკიცებდეთ თითქოს ასეთი „პოსტმთაბეჭდილებანი“ მაშინვე სპობდეს უთანხმოებას სპექტაკლის მხარეულე თაყვანისმცემლებსა და ოპონენტებს შორის. მაგრამ მე მგონია, მსმენელია უდიდესმა ნაწილმა, თუ აკვიატებული აზრი არ ჰქონდა, იგრძნო: მოსმენილი და ნანახი აფორიზმებს სულს, საზრდოს გაძლევს სერიოზული დაფიქრებისათვის, რომელიც ზნეობრივ სიმტკიცეს განიჭებს და სულიერად გამაღლებს.

რატომ ხდება ასე? ხელოვნების რა ფენომენთან გვაქვს საქმე?

„...და არს მუსიკა“ რთული, სინთეზური ნაწარმოებია, მაგრამ — „უნიპარეს ყოვლისა მუსიკალური“, როგორც ასეთ შემოხვევაში იტყოდა ხოლმე ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, — სწორედ ასე განსაზღვრავდა იგი საოპერო ანრის დომინანტს. მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმე ფორმალური კვალიფიკაციაა არ არის. მთავარია ის ცხოვრებისეული შინაარსი, რომლითაც აღსავსეა სპექტაკლი.

შემზარავი გაპარტახება და გაველურება მოპყვა ომს, მის ქაოსში უეცრად გადაისწარათა თანამედროვეობისა და პირველყოფილობის ნიშნები, ამწუთიერი და მარადიული, პირადი და ზოგადსაკაცობრივი. ყველაფერი გამსჭვალულია კეთილისა და ბოროტის შეუპოვარი ბრძოლით. იგი წარმოგვიდგება მოშურნე სამხედრო ძალების პლანეტარული შეტაკებით; იგრძნობა თითოეულ ადამიანში, პირადი პოზიციის შერჩევაში; და ბოლოს, — სიმპოლისა და სილამაზის, როგორც ცხოვრების საყოველთაო კანონების გლობალურ დამკვიდრებაში, რომელთაც ოპერაში ხელოვნება განასახიერებს.

ნაწარმოებს სიუჟეტი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით, არა აქვს. არის გარკვეულად ერთმანეთთან დაუკავშირებელი, მაგრამ ჩანაფიქრის ლოგიკით გაერთიანებული ეპიზოდ-სიტუაციების ჯაჭვი, რომლებიც პირადული ადამიანური ურთიერთობებიდან ეროვნულ-ეკლესიურ, ეროვნულ-ეთნიკურ, ეროვნულ-ეკონომიკურ, ეროვნულ-ეკოლოგიურ, ეროვნულ-ეროვნულ, ეროვნულ-ინტერნაციონალურ, ეროვნულ-ადამიანურ, ეროვნულ-ადამიანურ-ეროვნულ, ეროვნულ-ადამიანურ-ეროვნულ-ადამიანურ, ეროვნულ-ადამიანურ-ეროვნულ-ადამიანურ-ეროვნულ, ეროვნულ-ადამიანურ-ეროვნულ-ადამიანურ-ეროვნულ-ადამიანურ-

სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ

(გაგრძელება)

მუხლი 9. კოოპერატივის საქმიანობის პრინციპები

1. კოოპერატივის საქმიანობას საფუძვლად უდევს კოოპერატივში ნებაყოფლობითი შესვლისა და იქიდან დაუბარკოლებელი გამოსვლის, პირადი, კოლექტიური და სახელმწიფო ინტერესების შეხამების, სამეურნეო დამოუკიდებლობის, მატერიალური დაინტერესებისა და სოციალური სამართლიანობის, კოოპერატივის წევრთა კოოპერაციული დემოკრატიის, სოციალისტური კანონიერების საფუძველზე მის საქმეთა მართვაში უშუალო მონაწილეობის პრინციპები.

2. სახელმწიფოსა და ზემდგომ ან კოოპერაციული ორგანოების ჩარევა კოოპერატივის სამეურნეო ან სხვა საქმიანობაში არ დაიშვება. ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

ზარალი, რომელიც კოოპერატივს მოუვა სახელმწიფო და ზემდგომი კოოპერაციული ორგანოების მითითებათა შესრულების შედეგად, რომლებაც დაარღვიეს კოოპერატივის უფლებები, აგრეთვე იმის შედეგად, რომ სათანადოდ არ შესრულეს ზემდგომმა კოოპერაციულმა ორგანოებმა თავიანთი მოვალეობები კოოპერატივის მიმართ, უნდა ანაზღაურონ ამ ორგანოებმა. ზარალის ანაზღაურების გამო დავას წყვეტენ სასამართლო ან არბიტრაჟი.

საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, საკონსოლიდ და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოების მიზნით საკუთარი ინიციატივით ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სხვა ორგანიზაციების წინადადებით კოოპერატივებს შეუძლიათ თავიანთი საბსაბების საწილი გააერთიანონ სახელმწიფო, კოოპერაციულ ან სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებთან.

კოოპერატივებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ:

საწარმოთა და წარმოებათა რეკონსტრუქციასთან და ტექნიკიურ განახლებასთან, შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, სახალო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამეშაოთა ერთობლივ შესრულებაში;

დარგთაშორისო წარმოებების, სარემონტო-სამშენებლო, სავაჭრო და სხვა საწარმოებისა და გაერთიანებების შექმნაში;

სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და საწარმო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების შენებლობასა და ექსპლოატაციაში;

სპეციალისტთა მომზადებაში და სასწავლო-სამრეწველო საწარმოების შექმნაში.

აღნიშნული და სხვა ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად კოოპერატივები დებენ ხელშეკრულებებს, რომლებთაც გათვალისწინებულია ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები კოოპერატივებს ეხმარებიან ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარებაში, ხელს უწყობენ მათ ამ დარგში მინიჭებული უფლებების რეალიზაციაში.

მუხლი 10. კოოპერატივის შექმნა და მისი ფუძნება

1. კოოპერატივი იქმნება მოქალაქეთა სურვილით მხოლოდ ნებაყოფლობითს საწყისებზე. კოოპერატივის შექმნა არ არის განპირობებული საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების რაიმე სპეციალური ნებართვით. კოოპერატივი შექმნილად ითვლება, როგორც კი რეგისტრაციაში გატარდება წესდება, რომელიც წარმოადგენს მისი საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს. წესდებას იღებს იმ მოქალაქეთა საერთო კრება, რომლებსაც სური კოოპერატივის დაარსება. კოოპერატივის წევრთა რიცხვი 3 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2. კოოპერატივის წესდება რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში კოოპერატივის უფლებიანი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

თუ კოოპერატივი იქმნება სახელმწიფო ან კოოპერაციულ საწარმოსთან და ორგანიზაციასთან, მისი წესდების რეგისტრაციისათვის საჭიროა ამ საწარმოს ან ორგანიზაციის თანხმობა.

3. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივს თავისი საქმიანობისათვის სჭირდება მიწის ნაკვეთი ან სხვა ბუნებრივი რესურსები, მისი წესდების რეგისტრაციისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან თავდაპირველი მოსარგებლის თანხმობა.

4. კოოპერატივის წესდებას შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს სარეგისტრაციოდ წარმოდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს უარი უთხრას კოოპერატივს წესდების რეგისტრაციაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმა კოოპერატივს შეუძლია გაასაჩივროს ზემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, იმ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა, ან სასამართლოში.

5. კოოპერატივის წესდებაში განსაზღვრულია: კოოპერატივის სახელწოდება, მისი ადგილმდებარეობა, საქმიანობის საგანი და მიზნები, კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობანი, მისი მართვისა და კონტროლის ორგანოები, მათი კომპეტენცია, კოოპერატივის ქონების შექმნისა და შემოსავლის (მოგების) განაწილების წესი, კოოპერატივიდან გარიცხვის საფუძველი და წესი, კოოპერატივის საქმიანობის რეორგანიზაციისა და შეწყვეტის პირობები. წესდებაში შეიძლება შეტანილი იყოს კოოპერატივის საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

6. კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მის წესდებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებანი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით და ვადებში.

მუხლი 11. კოოპერატივის წევრობა

1. კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი მოქალაქე, რომელსაც სურს და უნარი შესწევს მონაწილეობდეს კოოპერატივის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კოოპერატივის ამ კანონთა და წესდებათა გათვალისწინებულ შემთხვევებში მისი კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა კოოპერატივები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები.

2. მოქალაქე ამავე დროს შეიძლება იყოს საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივების წევრი. იმ საწარმოო კოოპერატივის წევრს, რომელიც მისთვის ძირითადი სამუშაო ადგილია, თავისუფალ დროს წევრობის უფლებებით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვა საწარმო კოოპერატივში. სახელმწიფო საწარმოში ან ორგანიზაციაში მომუშავე პირებს შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ ერთი საწარმო კოოპერატივის წევრები და მონაწილეობდნენ მის საქმიანობაში ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

მოქალაქეს უფლება აქვს იყოს სხვადასხვა სახეობის რამდენიმე სამომხმარებლო კოოპერატივის წევრი, მაგრამ არ შეიძლება იყოს ამავე დროს ერთი სახეობის ორი ან მეტი სამომხმარებლო კოოპერატივის წევრი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით.

3. წევრთა ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილ საქმეთა გამო დავას წყვეტენ კოოპერატივის ორგანოები მისი წესდებით განსაზღვრული წესით, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სასამართლო.

4. კოოპერატივის წევრი შეიძლება გარიცხულიყოს კოოპერატივიდან მისი საერთო კრების გადაწყვეტილებით წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. პირები, რომლებსაც სასამართლომ აუქრალა გარკვეული საქმიანობა ან გარკვეული თანამდებობათა დაკავება, არ შეიძლება იყვნენ შესაბამისი სახეობის საქმიანობის კოოპერატივის წევრები, მონაწილეობდნენ მის მუშაობაში შრომით შეთანხმებით ან ეკავთ კოოპერატივში შესაბამისი თანამდებობანი.

პირებმა, რომლებიც ნასამართლეები არიან დანაკეცებს, მეერთამეობისა და სხვა ანგარებით დანაშაულის გამო, არ შეიძლება დაიკავონ კოოპერატივში ხელმძღვანელი თანამდებობანი, აგრეთვე მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული თანამდებობანი.

მუხლი 12. კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

1. ყველა სახეობის კოოპერატივების წევრებს აქვთ უფლება:

მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საქმიანობასა და მის საქმეთა მართვაში, აირჩიონ და იყვნენ არჩეული კოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოებში, შეიტანონ წინადადებანი კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესების, მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თაობაზე; მიიღონ, იმ შემოსავლის (მოგების) ნაწილი, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის უნდა განაწილდეს შრომითი წვლილის შესაბამისად, ხოლო წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აგრეთვე კოოპერატივში ბენეფიციარებად შესაბამისად;

ისარგებლონ კოოპერატივის ქონებით, კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული შეღავათებთან და უპირატესობებით;

მიიღონ კოოპერატივის თანამდებობის პირთაგან ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მის საქმიანობას ეხება.

საწარმოო კოოპერატივის წევრებს, გარდა ამისა, უფლება აქვთ:

მიიღონ სამუშაო კოოპერატივში, აირჩიონ პროფესია და საქმიანობის სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და კოოპერატივის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ისარგებლონ:

დასვენებით, რომელსაც უზრუნველყოფს დასვენების დღეების მიცემა, აგრეთვე ყოველწლიური ფასიანი შვებულება, რომლის ხანგრძლივობა შესაბამის კატეგორიათა მუშაო-მოსამსახურეებისათვის დაწესებულზე ნაკლები არ უნდა იყოს;

სოციალური უზრუნველყოფით;

კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით და დაიკმაყოფილონ სხვა საჭიროებანი კოოპერატივის წევრთა საერთო კრებით დადგენილი წესით.

2. ყველა სახეობის კოოპერატივების წევრები ვალდებულნი არიან:

დაიცვან კოოპერატივის წესდება და შესაბამისად კოოპერატივის საერთო კრების, მისი მართვისა და კონტროლის არჩეულთა ორგანოების გადაწყვეტილებანი;

შესაბამისად თავიანთი ვალდებულებანი კოოპერატივის წინაშე, რომლებიც უკავშირდება მის საქმიანობასთან შრომითს ან ქონებრივ მონაწილეობას;

აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საქმეთა მართვაში, გამოავლინონ მის შუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და იბრძოლონ მათი აღმოფხვრისათვის;

გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრება, არ დაუშვან საზოგადოებრივი დოვლათისადმი უყაირათო და დაუდევარი დამოკიდებულება.

საწარმოო კოოპერატივების წევრები, გარდა ამისა, ვალდებული არიან:

გამოიყენონ შრომის მოწინავე ფორმები და მეთოდები კოოპერატივში და პასუხი აგონ თავიანთი მუშაობის შედეგებისათვის, დაიცვან საწარმოო და შრომის დისციპლინა, შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის წესები, იიმაღლონ კვალიფიკაცია;

რაციონალურად გამოიყენონ და გაუფრთხილდნენ კოოპერატივისათვის გადაცემულ ბუნებრივ რესურსებს.

3. კოოპერატივების წევრებს აქვთ სხვა უფლებებიც, აგრეთვე ეკისრებათ კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული მოვალეობანი.

მუხლი 13. კოოპერატივის მართვა

1. კოოპერატივის მართვა ხორციელდება სოციალისტური თვითმმართველობის, ფართო დემოკრატიის, საჯაროობის, კოოპერატივის საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში მისი წევრების აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

2. კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მმედნარე საქმეების ხელმძღვანელობისათვის ირჩევს თავმჯდომარეს, დიდ კოოპერატივებში კი აგრეთვე გამგეობა. კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქენი საერთო კრებაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

3. საერთო კრება:

იღებს კოოპერატივის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი; ირჩევს კოოპერატივის თავმჯდომარეს, კოოპერატივის გამგეობასა და სარეგიონო კონტროლს, ისმენს ანგარიშებს მათ, საქმიანობის შესახებ;

წყვეტს კოოპერატივის წევრიდან მიღების, იქიდან გამოსვლისა და კოოპერატივიდან გარიცხვის საკითხებს;

იღებს და აკანონებს კოოპერატივის მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-ტექნიკური ღონისძიებებსა და კოოპერატივის სხვა შინაგან აქტებს;

განსაზღვრავს კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული შესასვლელი და საპაონო შესატანების ოდენობას;

ამტკიცებს კოოპერატივის საქმიანობის გეგმებს და ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ;

აგდებს შემოსავლის (მოგების) განაწილების წესს, კოოპერატივის ფონდებისა და რეზერვების გამოყენების სახეობებს, ოდენობასა და მიმართულებებს, იხილავს ფასწარმოქმნის საკითხებს;

წყვეტს კოოპერატივის საქმიანობის რეორგანიზაციისა და შეწყვეტის, კავშირებში (გაერთიანებებში) მისი შესვლისა და იქიდან გამოსვლის საკითხებს.

გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივის საერთო კრების კომპეტენციას. კოოპერატივის წესდების შესაბამისად ან საერთო კრების გადაწყვეტილებით მის ძირითად კომპეტენციას შეიძლება განეკუთვნოს კოოპერატივის ორგანიზაციული, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა საკითხებიც.

დიდ კოოპერატივებში ამ საკითხთა გადაწყვეტისათვის, რომლებიც განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას, შეიძლება მოიწვიონ რწმუნებულთა კრებები.

მუხლი 14. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი)

1. კოოპერატივებს შეუძლიათ მკაცრად ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანდნენ კავშირებად (გაერთიანებებად) საქმიანობის სახეობათა მიხედვით და ტერიტორიულ კავშირებად (გაერთიანებებად).

2. კოოპერატივების კავშირების (გაერთიანებების) ძირითადი ამოცანებია:

განავითარონ კოოპერაციული დემოკრატია, კოლექტიურად გაანხილონ კოოპერატივების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, განაზოგადონ გამოცდილება და შეიმუშაონ რეკომენდაციები არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობის უფრო სრული გამოყენების შესახებ, გაუწიონ პროპაგანდა კოოპერაციულ მოძღვრებას;

ხელი შეუწყონ წარმოების სპეციალიზაციის გაუმჯობესებას, კოოპერატივების საქმიანობის კოორდინაციას, დაამყარონ კოოპერაციული ურთიერთობა და მოაწყონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, პროდუქციის გადამუშავება, შენახვა და გასაღება;

შეისწავლონ იმ საქონლის (სამეშაოების, მომსახურების) ბაზრის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, რომლის წარმოებასა და გაყიდვაზე დასაკალებული არიან კოოპერატივები;

უზრუნველყონ კოოპერატივების უფლებების დაცვა და გაუწიონ მათ იურიდიული დახმარება, წარმოდგენონ მათი ინტერესები შესაბამის სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გაუწიონ საჭირო ხელშეწყობა კოოპერატივებს წარმოების სრულყოფაში, შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაში, მათი პროდუქციის (საქმეთა, მომსახურების) რეკლამაში, აგიოს მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

3. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი) იქმნება კოოპერატივების დელეგატთა (რწმუნებულთა) ყრილობებზე, კრებებზე, რომელთა გამართვის პერიოდულობას განსაზღვრავენ ეს ყრილობები და კრებები.

კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი) მოქმედებენ თავიანთი წესდების საფუძველზე, რომელსაც იღებენ კოოპერატივების დელეგატთა (რწმუნებულთა) ყრილობები და კრებები.

კავშირების (გაერთიანებების) წესდებანი არ ექვემდებარებიან სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრაციას.

კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ ჰქონდეთ ქონება, რომელიც სჭირდებათ მათ თავიანთი საწესდებო ამოცანების შესრულებისა და სხვა სახეობათა საქმიანობის განხორციელებისათვის.

კავშირების (გაერთიანებების) მათი მართვის აპარატების შენახვის ხარჯები ხორციელდება შესაბამისი კოოპერატივების შემოსავლისაგან ანარიცხების ხარჯზე, აგრეთვე ამ კავშირების (გაერთიანებების) სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

გეგმების საფუძველს შეადგენენ პროდუქციის (სამეშაოების, მომსახურების) მომზმარებლებთან და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები.

2. კოოპერატივს უფლება აქვს ნებაყოფლობით იდოს თავს სახელმწიფო შეკვეთების შესრულება, მათ შორის სახელმწიფო და სხვა საწარმოებთან თუ ორგანიზაციებთან კონკურსის პირობებით. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად იდება სამეურნეო ხელშეკრულებები პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) შესაბამის მომზმარებლებთან და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან.

კოოპერატივები აქტიურად მონაწილეობენ ეკონომიკურ შეჯერებებში სახელმწიფო და სხვა საწარმო-ორგანიზაციებთან სახელმწიფო შეკვეთების მისაღებად, აღწერენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების, ფასების (ტარიფების) შემცირებას.

კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საბითუმო ბაზრობებში და დაუდონ მომხმარებლებს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებები, ნოლო მიმწოდებლებს — მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის ხელშეკრულებები.

3. თავისი გეგმების შემუშავებისას კოოპერატივი იყენებს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებს: სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებელი ხელშეკრულებით წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ფასების დონეებს, საბაგრო გადასახადების განაკვეთებს, ბანკების სესხების პროცენტებს, ბუნებრივი რესურსების ფაზღარის ნორმატივებს, გარემოში გამბინძურებელი ნივთიერებათა ამოფრქვევის საზღვრებს, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში გადარიცხვის ნორმატივებს. რაიმე სხვა ეკონომიკური ნორმატივები ან სხვაგვარი საწყისი მონაცემები დაგეგმვისათვის კოოპერატივებს არ უფლებდნენ.

ბუნებითსარგებლობის საკითხებში კოოპერატივები თავიანთ გეგმებს უთანხმებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ადმისრულებელ კომიტეტებს.

4. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების გეგმების შემუშავების, გარკვეულ ტერიტორიაზე ამ დარგში სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კოოპერატივების საქმიანობის კოორდინაციის კომპლექსურობის უზრუნველსაყოფად კოოპერატივი შესაბამის ადგილობრივ აღმასრულებელ ან ადმინისტრაციულ ორგანოს ან საწარმოს (ორგანიზაციას), რომელთანაც იგია შემნილი, აცნობებს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) დასახული წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის, შემოსავალ-გასავლისა და სხვა მაჩვენებლებს.

ამასთან კოოპერატივს შეუძლია მართვის შესაბამის სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანოებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან გადაწყვეტოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და სიაჯარო სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებით უზრუნველყოფის საკითხები. მართვის ორგანო ამ ტერიტორიაზე (დარგში) მოქმედ კოოპერატივებთან ერთად უზრუნველყოფს კოოპერატივების წინადადებათა კომპლექსურ კაკვრის და ითვალისწინებს მათ შესაბამისი რეგიონის (დარგის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში.

5. გეგმების შეცნიერულ დასაბუთებისა და შეწონასწორების გასაუმჯობესებლად ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები და მათი ორგანოები რესპუბლიკებში, სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები კოოპერატივის მითხოვნით უწევენ მას ყოველმხრივ დახმარებას წარმოებისა და შრომის, კაპიტალური მშენებლობის ორგანიზაციის, მატერიალური და ფინანსური რესურსების მომჭირნე გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების და კოოპერატივების საქმიანობის სხვა მიმართულებებით საჭირო ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებაში.

მუხლი 15. კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობის საფუძვლები

1. სსრ კავშირის კოოპერაციის საქმიანობა იგება სოციალისტური მეურნეობრიობისა და თვითდაფინანსების, სასაკონლო-ფულადი ურთიერთობის ფართოდ გამოყენების პრინციპების საფუძველზე. ამასთან პროდუქტის წარმოებისა და წარმოებული პროდუქტის, აგრეთვე შემოსავლის განაწილების კოოპერაციული ფორმა განპირობებს კოოპერაციაში სამეურნეო შეკავებიზმის თავისებურებებს: დაგეგმვაში, ფასწარმოქმნაში, შრომის ანაზღაურებაში, სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკებთან ურთიერთობაში, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

2. საწარმოო კოოპერატივი ეკონომიკურად დამოუკიდებელი კოოპერატიული სოციალისტური საქონელმწარმოებელია. მოქმედებს რა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, იგი განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებებს, წარმოებს მოცულობასა და სტრუქტურას, ახორციელებს მის დაგეგმვას, ორგანიზაციას, პროდუქციის (სამეშოო, მომსახურების) რეალიზაციას.

სამომხმარებლო კოოპერატივს აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა თავის საქმიანობაში და თავის დანახარჯებს ფარავს კოოპერატივის წევრთა შესატანებისა და მისი სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

3. კოოპერატივის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან მისი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომზმარებლებთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან, ყველა მისი სამეურნეო ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ სახელშეკრულები საწყისებზე. ხელშეკრულება ერთადერთი სამართლებრივი და ეკონომიკური დოკუმენტია, რომელიც არგულირებს კოოპერატივის ყველა აღნიშნულ სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობას.

სახელშეკრულები ვალდებულებათა დაცვა, მომმზარებელთა იბერეულების სრული გათვალისწინება არის კოოპერატივის საქმიანობისადმი უმნიშვნელოვანესი თხოვნა, მისი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი. სახელშეკრულო ვალდებულებათა დაუცვლობისას კოოპერატივი დადგენილი წესით აგებს ქონებრივ პასუხისმგებლობას, ანაზღაურებს მომმზარმლისათვის მიყენებულ ზარალს.

ხელშეკრულებების დადება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივისა და შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების კომპეტენციას შედგენს. მართვის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა კოოპერატივებისა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების სახელშეკრულო ურთიერთობის დამყარება-განხორციელებაში დაუშვებელია.

4. კოოპერატივის რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, დარდაქნა) და მისი სამეურნეო საქმიანობის შეწყვეტა წარმოებს მისი საერთო კრების გადაწყვეტილებით.

კოოპერატივის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ამ შემთხვევებში, როცა იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, წესდებას ან როცა კოოპერატივი ზარალიან და არაგადახდისუნარიანია. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტილება გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა ზემდგომ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ან სასამართლოში.

მუხლი 16. დაგეგმვა

1. კოოპერატივი დამოუკიდებლად გეგმავს თავის საწარმოო-ფინანსურ საქმიანობას და კოლეტივის სოციალურ განვითარებას. გეგმებს (ან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს) ამტკიცებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

კოოპერატივი გეგმებს (ან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს) შეიმუშავებისას ხელმძღვანელობს თავის პროდუქციის, საქონლეზე, სამუშაოსა თუ მომსახურებაზე არსებული დადგხილუნარიანი მოთხოვნილებით, საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის, შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო შემოსავლის მიღების შესაძლებლობით. ამასთან გათვალისწინებულია მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, მოქმედი სიმძლავრეების, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება, ნედლეულის და სამაღალი, ენერგიისა და სათბობის მომჭირნე ხარჯვა, ადგილობრივი და მეორეული რესურსების გამნაზვა და სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა, წარმოებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა.

გეგმებს ამტკიცებენ: სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა, ფასწარმოქმნა, ანაზღაურება, ბიუჯეტთან, ბანკებთან, ფულადი ფონდები, ინვესტიციები, ბუნებრივ რესურსებზე ფაზღარი, ბუნებრივ-ეკონომიკური ნორმატივები, ეკონომიკური ნორმატივები, ეკონომიკური ინტერესებისა და ეკონომიკური ანგარიშსწორების ფორმა, ფულადი ფონდების ფორმირებისა და ხარჯვის ნორმატივები, ფულადი ფონდების ფორმირებისა და ხარჯვის ლიმიტები, ფულადი ფონდების ფორმირებისა და ხარჯვის ანგარიშსწორებანი

სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ

(მაგრძელება)

კოოპერაციულ ბანკს სახელმწიფო საწყისებზე შეუძლია თავისი სახსრებით მონაწილეობა მიიღოს კოოპერატიების სპეციალური უზრუნველყოფისათვის.

7. იმისათვის, რომ განხორციელდეს კოოპერატიის წევრთა სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებები, კოოპერატივს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში შეაქვს თავისი შემოსავლის ანარიცხები იმ წესითა და ოდენობით, რომლებიც დადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

8. კოოპერატივის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელება. კოოპერატივის სოციალური განვითარების საკითხებს წყვეტს საერთო კრება. კოოპერატივი იჩენს მზრუნველობას თავისი წევრების, აგრეთვე შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირების, მათი ოჯახების, ომსის და შრომის ვეტერანების შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. კოოპერატივი საკუთარი სახსრების ხარჯზე ახორციელებს საცხოვრებელი სახლების, ბაღშვთა საკოლმეღელი დაწესებულებებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების შენებლობას, აგრეთვე შუქლითა იჯარით აიღოს ან შეიძინოს ეს ობიექტები სახელმწიფო საწარმოებისაგან (ორგანიზაციებისაგან), თავის სოციალურ საქმიანობას კოოპერატივი ეწევა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან, სახელმწიფო ორგანოსთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, რომელიც ახორციელებს სახალხო მეურნეობის იმ დარგის მართვას, რომელსაც თავისი საქმიანობით განეკუთვნება კოოპერატივი.

მუხლი 23. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური სტიმულირება

1. კოოპერატივის საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მიზნად უნდა ისახავდეს ბაზაზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) წარმოებას. კოოპერატივი ნაწილს ბრუნვა-ბრუნვიდან (ბრუნვა-ბრუნვა) ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და

სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ

(დასასრული)

პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებებით. ამ რესურსებით სარგებლობისათვის საჭიროა ქირის მეტანა შეიძენა როგორც ფულად, ისე ნატურითაც.

3. კოლმეურნეობამ ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა ბუნების დაცვის ორგანოებთან უნდა შეთანხმოს შიდასამეურნეო შენებლობის ობიექტების (მეცხოველეობის კომპლექსების, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების საცავებისა და სხვ.) განლაგება, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება მოახდინონ გარემოს მდგომარეობაზე.

მუხლი 33. კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკუთრება

1. კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მთელი ქონება, აგრეთვე მის მიერ წარმოებული პროდუქცია, მიღებული ფულადი სახსრები მისი საკუთრებაა.

კოლმეურნეობა, რომელიც იზიდავს თავისი წევრების, სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების, ფულად და ქონებრივ შესატანებს, სესრთო კრების გადაწყვეტილებით ანგაზღაუს შემოსავალი თუ პროდუქციის ნაწილს ამ შესატანების ოდენობის პროპორციულად.

2. საწარმოო ფონდების გამოყენების გაუკეთებესებით კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა დინამტრესების გადიდების მიზნით საკუთარი სახსრების ხარჯზე კვლავ შექმნილი ძირითადი საწარმოო ფონდების მატების ყოველწლიური ღირებულების ნაწილი შეიძლება ჩაირიცხოს სპეციალურ ანგარიშზე, კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა წილობრივ ფონდში.

ამ ფონდის სახსრები ნაწილდება კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა შორის და ჩაირიცხება პირად ანგარიშზე მათი კონკრეტული შრომითი წვლილის პროპორციულად. ამ სახსრებზე მთელიანი შემოსავლიდან ყოველწლიურად დაირიცხება პროცენტები, რომელიც ოდენობას განსაზღვრავს კოლმეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საერთო კრება. კოოპერატივის წევრთა მიერ პროცენტების სახით ყოველწლიურად მიღებული შემოსავალი გროვდება მათს პირად ანგარიშებზე და შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვით კოოპერატივის წევრთა მეხედურებისამებრ.

წილობრივი ფონდის შექმნისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება.

3. კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ლაკვიდაციის შემთხვევაში მთელი ქონება შრომის ანაზღაურების ანგარიშწორების დამთავრებისა და კოლმეურნეებისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა ანგარიშების ფულად და ქონებრივ შესატანებს, სესრთო კრების გადაწყვეტილებით ანგაზღაუს შემოსავალი თუ პროდუქციის ნაწილს ამ შესატანების ოდენობის პროპორციულად.

2. საწარმოო ფონდების გამოყენების გაუკეთებესებით კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა დინტერესების გადიდების მიზნით საკუთარი სახსრების ხარჯზე კვლავ შექმნილი ძირითადი საწარმოო ფონდების მატების ყოველწლიური ღირებულების ნაწილი შეიძლება ჩაირიცხოს სპეციალურ ანგარიშზე, კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა წილობრივ ფონდში.

ამ ფონდის სახსრები ნაწილდება კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა შორის და ჩაირიცხება პირად ანგარიშზე მათი კონკრეტული შრომითი წვლილის პროპორციულად. ამ სახსრებზე მთელიანი შემოსავლიდან ყოველწლიურად დაირიცხება პროცენტები, რომელიც ოდენობას განსაზღვრავს კოლმეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საერთო კრება. კოოპერატივის წევრთა მიერ პროცენტების სახით ყოველწლიურად მიღებული შემოსავალი გროვდება მათს პირად ანგარიშებზე და შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვით კოოპერატივის წევრთა მეხედურებისამებრ.

წილობრივი ფონდის შექმნისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება.

3. კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ლაკვიდაციის შემთხვევაში ქონება შრომის ანაზღაურების დამთავრებისა და კოლმეურნეებისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა ანგარიშების ფულად და ქონებრივ შესატანებს, სესრთო კრების გადაწყვეტილებით ანგაზღაუს შემოსავალი თუ პროდუქციის ნაწილი ამ შესატანების ოდენობის პროპორციულად.

მუხლი 34. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობანი

1. კოლმეურნეობა ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ქმნის კოოპერატივის წევრთა და სხვა მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარების პირობებს, გადასცემს მათ სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთებს, უწევს დახმარებას მათს დამუშავებაში, სასუქებით, მცენარეთა დაცვის საშუალებებით, თესლითა და სარგავი მასალით, საკვებითა და სამოვრებით უზრუნველყოფაში, პირუტყვისა და ფრინველის შეძენაში, აგროტექნიკურ და ზოოვეტერინარულ მომსახურებაში, საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების შენებლობისა და რემონტში, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და მის გადამუშავებაში.

კოოპერატივებთან პირადი დამხმარე მეურნეობების ურთიერთობა რეგულირდება მათი წესდებებითა და ხელშეკრულებებით.

მიწის ნაკვეთების მიცემის წესსა და ოდენობას, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის ყოლის ნორმებს განსაზღვრავენ სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოები, კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საერთო კრება.

2. მოქალაქეთა პირადმა დამხმარე მეურნეობებმა კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამხმარებაზე დაყრდნობით, უნდა აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი მოხმარებისათვის. მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ პირადი დამხმარე მეურნეობები, შეუძლიათ მოახდინონ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხელშეკრულებით მეურნეობებთან, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან, სხვა საწარმოებთან და ბაზარში.

3. კოოპერატივს უფლება აქვს სესრთო კრების გადაწყვეტილებით ხანგრძლივი დროით საკუთნდო იჯარის პირობებით მიწის სავარგულები გადასცეს კოოპერატივის წევრებსა და სოფელში მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის და იმისათვის, რომ მიჰყიდონ იგი კოლმეურნეობას, სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან სამომხმარებლო კოოპერატივის ორგანიზაციას ხელშეკრულებით. მიწასთან ერთად იჯარით შეიძლება გადაეცეს აგრეთვე შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა და სახელშეკრულებო ვალდებულებთა შესრულებისათვის საჭირო სხვა მატერიალური ფასეულობანი. კოლმეურნეობას ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. შეუძლია მოქალაქეებს მიაყიდონ ცხენი, სხვა სამეშაო პირუტყვი, მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იმ უფლებით, რომ გამოიყენონ ისინი პირად დამხმარე მეურნეობაში მუშაობისათვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამეშაოთა შესრულების დროს.

4. ამ მიზნით, რომ უფრო ფართოდ ჩაებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრები სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანისა და პირუტყვიანობის მოყვანის ან პირუტყვის ინკუბატორებში მოყვანის საქმეში, ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული ფინანსების ინტერესებიდან გამომდინარე